

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგეის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგეის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИП. ПЕЧ. ВЪ РЕДАКЦІИ ГАЗ. „ДРОБА“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. სა 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაბათს

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე,

ფასი განცხადებისა: მთელის წლისა—1 კაპ., ნახევარ წლისა—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდირდა ხოლმე.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგეის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში).

ბარეზე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИП. ПЕЧ. ВЪ РЕДАКЦІИ „ДРОБА“.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა . . . . .	8 მან.	„ კაპ.
მესის თვისა . . . . .	4 „	50 „
ოთხის თვისა . . . . .	3 „	„ „

უპირჩილესი თხოვნა ხელის-მომწერებსა და აგენტებს: ხვედრი უფლი გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნას გამომგზავნილი; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

### რედაქციისაგან

თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლები, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 იენსს მოესპობათ გაზეთის გზავნა.

### ტელეგრაფები

ავტორბურლი, 20 თებერვალს. საღამოს ცხრა საათზე იმპერატორის ზამთრის სასახლესთან მოგროვდა უანგარიშო ხალხი, რომელსაც შეეცყო ოსმალეთთან შერიგების ამბავი, და დიდი ამბით და ყვირილით მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორს; როდესაც ხელმწიფე გამოვიდა ბალკონზე, რამდონსამე ათასმა ხმამ ერთად დასძახეს სახალხო გიმნი და ამით გამოხატეს თავის აღტაცება და სიხარული ოსმალეთს, 18 თებერვალს. „რეიტრის სააგენტოს“ აცნობებენ სტამბოლიდან, აქ ამბობენო, რომ ბრიტანიის ფლოტი

ნიმდში წავა და იქ გაჩერდება.

მენა, 18 თებერვალს. სარაევოდამ იწერებინან, რომ ბოსნიის ბეგებსა და კათოლიკებს დებუტაცია გამოუგზავნიათ მენაში ავსტრო-უნგრების მმართველობასთან.

### საქართველო

ოპის შემდეგ

მართალია, რუსეთსა და ოსმალეთს შუა ბრძოლა შეწყდა.

მაგრამ ჯერ ახლაც არ არის კიდევ საბოლოოთ საქმე გადავებული; როგორც წარსულ ნომერში მოვიხსენიეთ, ამ ქამად ყველაფერი იმ კონგრესზედ არის დამოკიდებული, რომელიც მომავალს მარტში უნდა შეიკრიბოს ბერმანის ქალაქს ბადენ-ბადენში და რომელზედაც მეროპის უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ და დაამტკიცონ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ერთმანეთს შორის შეკრული პირობის მუხლები.

ოსმალეთი დაამარცხა რუსეთმა; დაამარცხა ისე, რომ ის ძალა-უნებურად უნდა დაეთანხმოს ყველა იმ პირობებზე, რომელსაც გამარჯვებული მტერი მოსთხოვს.

მა ცხადია. მაგრამ მაგიერად რამდენი მსხვერპლი მოითხოვა ამ ომმა, რამდენი უბედურება მოჰყვა იმას თან! თეიონ ომში იმდენი ხალხი არ დახოცო-

ლ, ტყვიას იმდენი არ მოუტლავს, რამდენიც სხვა-და-სხვა ავათმყოფობისაგან და გაჭირებისაგან დაიხოცა და შემდეგში დაიხოცებია.

შველა ალაგებიდამ, საცა კი ბრძოლა იყო, და არა თუ მარტო ამ ბრძოლის ველიდამ, შუაგული რუსეთიდამ, მთელი რუსეთი იდამ, სერბიიდა და სხვ., გაუწყვეტელი საჩივარი ისმის, რომ სახადი და სხვაგვარი ავათმყოფობა გაჩნდა და ხალხი იხოცებოა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ვინც დახოცა—დაიხოცა, ვინც დაიხოცება—დაიხოცება. საქმე იმაშია, რომ ომის შემდეგ ცოცხლებსაც გაუჭირდებათ სიცოცხლე. მარჯვე, მხნე ხალხი ბევრი დაიღუპა ბრძოლის ველზე და ამნაირად ადგილ-მამულები შეკუმშავენბელი დარჩება და მიწა-წყალი, სახლ-კარი მოუფლელი. ამის გამო ცხოვრება გაძვირდება, მომეტებული სიღარიბე ჩამოვარდება...

ს. მ.


### დღიური

\* ღლესაც ბულ არზე და ძალაქის ქუჩეში უჩვეულებრივო მოძრაობაა ხალხისა; გროვა-გროვად იყრიან თავს და არის ერთი გაცხარებული, დაუბოლოებელი მასლაათი და სჯა, უფრო ნშირად იმაზე—თუ რა პირობებით გავთავა რუსეთმა ოსმალეთთან ბრძოლა და მერე კიდევ რა მოგველისო? მაკონგრესი რალა ჯანაბა არიო? და სხვ. და სხვ. ჩვენში დარწმუნებულნი არიან, რომ ბათუმი და საზოგადოთ ოსმალეთის საქართველო და არზრუმი უეჭველად ჩვენ შემოგვიერთდებაო...

ღღე-ღღეზე მოველით ოფიციალური ტელეგრაფისა იმ საგნის შესახებ, რომელზედაც ასე გაცხარებით სჯიან ახლა ჩვენში და რომელსაც მოუთმენელად მოვლიან, ე. ი. ოსმალეთთან მორიგების პირობებზედ.

\* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ დღეებში დ. მ. ძავეკაიის არშიის მთავარ-სარდლის მინდობილობით, ღენერალ-მაიორი თ. ნ. შავეჭვაძე წასულა ოსტურეთისკენ. ამბობენ, მინდობილება იმაში მდგომარეობსო, რომ რიონისა და შაბულეთის ატრიადს ახაროს მტერთან შერიგებაო.

\* შოთილამ მოგვივიდა ამბავი, რომ, ამ ქალაქს თავის ვჩეულებრივი ცოცხალი შეხედულება მიუღია; ხალხი და სასამართლოს დაწესებავები ისევ დაბრუნდნენ, ვაჭრობა გაიშართა და ნავსადგურზე



ცოტათი უფრო მომეტებული მოძრაობა არისო. მაგრამ, კორრესპონდენტის სიტყვით, სახლების შენებას და დიდი მალაზიების გამართვას ჯერ-ჯერობით ხალხი ვერ ბედავს, რადგან ერთის მხრით ხელ-მეორედ ომის აჩვენა ეფიქრებათ და ამას გარდა დარწმუნებული არიანო, რომ, თუ ომი აღარ ატყდა, ბათუმი რუსეთს დარჩება და მაშინ შოთს თითქმის ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგებაო.

\* მართს თავის წინანდელ სხდომაში ჩვენს ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, რომ 34 ათასი მანეთი ისესხოს სახელმწიფო ხაზინიდან და ეს ფული ქალაქის გასუფთავებას, გაჯანმთელობას მოახმაროს. მოგვხსენებთ, რომ ამას წინათ თვითონ მთავრობამ დანიშნა ამავე საგნისათვის 75 ათასი მანეთი და ქალაქმა კიდეც 14 ათასი მანეთი. რაღატქმა უნდა, თუ ყველა ეს ფულები რიგიანათ, თავიანათ იქნება მოხმარებული ქალაქის, მჯზოვრებლებს შეუძლიანთ ცოტათი დაიმშვიდონ ამ ხშირ სიკვდილისაგან დაფთხობილი გული...

\* მასაკვირვლოა, რომ ყოველ ნაირი ხორაგი და განსაკუთრებით ფქვილი ასე გაიფთა ამ ქაზად ჩვენს ქალაქში და გამოცხვარმა პურმა კი სრულებით ფასი არ დაიკლო; როგორც ადრე, მომეტებული სიძვირის დროს იყიდებოდა, სწორედ იმ ფასადვე (ვირვანქა შაურად) ისყიდება ახლაც. ქალაქის რჩევის ყურადღება მიგვიქცევია ამ შეუსაბამო გარემოებაზედ.

\* მოზლოკიდან გეწყურენ, რომ აქაც სწორედ ისეთი მაზანდა არის ყოველგვარ ხორაგეულისა, როგორც ოფილისში ყოფილა და როგორც თქვენს გაზეთში არის გამოცხადებულიო.

იქიდავე გვატყობინებენ, რომ იქ 2,500 მანეთამდინ მოუვროვებიათ კლუბის გასასწნელად.

**„დროების“ კორრესპონდენცია**

**ბორი, 18 თებერვალს.** ამ წინაზედ გამოვგზავნე ერთი სტატია, (რომელიც იყო ჩაბეჭდილი თქვენს პატივცემულ „დროების“ მე-22 №-ში) მ. ა—ზე, რომელშიაც მომყავდა მისგან ქრთამის აღება.

ნება მომეცით მოგახსენოთ დღეს იმ სტატიის წყალობით რა საქმე მოხდა აქ:

როდესაც ხსენებული სტატია წაიკითხა აქაურმა საზოგადოებამ, დიდათ გაიკვირეს, თუ ეს რა უწყსოება ხდება ზოლმე ამ დაბალი თანამდებობის ჩინოვნიკებისაგანაო. ამაზედ მეტი სალაპარაკო აღარ არის-რა. ღმერთმა უშველოს აქაურ მაზრის უფროსს, ესეც ძალიან კარგათ გაისარჯა:

მეორე დღესვე დაიბარა უფროსმა როგორათაც მჯოშვილი, მამასახლისი და სუდიები, აგრეთვე უ. მ. ა—ოვიცა. უფროსმა შეიყვანა ეს ყველანი საკუთარს ოთახში და აღაპარაკა.

მჯოშვილმა სუდიები დაფარა (თუმც კი ესენიც ერთენ ორ კოკა ღვინოში) და სთქვა ასე: მე სუდიებისა და მამასახლისისათვის არაფერი მიმიცია და არც იცოდნენ, თუ მე უფალი ტ. ა—ეს ვაძლევდით; ჩემთან მოვიდა ზაქარია ღვინაშვილი-მკალავი და მითხრა, რომ თუ ოთხ თუმან ნახევარს მოვანერხებდი და მივემდი ლ. შ—ს დიკვის, ლ. ტ. ა—ს მისცემდა და მეც კამანთავისუფლებდაო. მეც სიხარულით მაშინვე ვივალე და მივეცი ზ. ლ—ს ოთხ თუმან ნახევარი და არ ვიცი ტ. ა—ს მისცეს, თუ თვითონ შეინარჩუნეს, მხოლოდ მე მეორეს დღესვე განმათავისუფლესო.

უფროსმა როდესაც მოისმინა ეს სიტყვები, მამასახლისი და მჯოშვილი იმ დღეს ბორიდან აღარსად გაუშვა და დაიბარა მეორე დღისათვის ხსენებულნი ზ. ლ—ლი და ლ. შ—ლი.

ივე ასე მეორეს დღეს ყველანი დააპირდაპირა ერთი ერთმანეთსა. მჯოშვილმა გაიმეორა და მოახსენა უფროსს, რომ მე ამ ზ. ლ—ს მივეცი ოთხ თუმან ნახევარი და არ ვიცი ტ. ა—ს მისცა თუ თითონ ჩაჯიბაო.

ღვინაშვილმა იკისრა, რომ ნამდვილათ მიელო მჯოშვილისაგან და ამასაც გარდაეცა ლ. შ—თვის რომ მას მიეცა უფ. ტ. ა—ს.

შ—ც იკისრა, რომ ნამდვილათ მიელო 45 მ. უფროსმა ჰკითხა შ—ს რისთვის გამოართვი 45 მანეთიო? პასუხათ მიუგო: „ძარგი იყო, რომ არ გამხილვო იყო საქმე და რადგანაც გამხილდა, მეც ამ უფ. ტ. ა—ს მივეციო.“

ტ. ა—მა არ იკისრა და სთქვა: „მაგას ჩემთვის არაფერი მოუცია და უკეთუ მომცა, მოწამე ეყოლებო.“ შ—ლმა უთხრა: თუ კი მოწამეებში მოგცემდი, რაღა ქრთამი იქმნებოდაო! ბოლოს უფროსს მოახსენა: რადგანაც ეხლა უარს ამბობს, მაშ მოახდინეთ ფიცი და დავიფიცამ, რომ ნამდვილათ 45 მანეთი ამას მივეცი და ან ამან დავიფიცოს, თუ არ მიეღოს და მაშინ რაც გენებოთ, ის გარდამახდევინეთო.

უფროსმა უთხრა ამათ, რომ აქ ფიცი აღარ იქნება, რადგანაც დიდი უსინდისობა მომხდარა და საქმეს გარდაეცემ გამოძიებელსაო.

მა გარემოება ილაპარაკეს ვინც ნაჩაღნიკის კითხვაში დასწრებია.

დღეს ეს ორნი, ე. ი. მ. ტ. ა—ვი და ლ. შ—ლი არიან მიცემულნი სისხლის სამართალში, ასე რომ რომელიც მათგანნი აღმოჩნდება, დამნაშავეთ, იმას გარდახდება კანონით.

თუ უ. ტ. ა—ოვმა ქრთამი არ აიღო და იმისათვის არ გაანთავისუფლა, ეს ხომ წინათაც იცოდა, რომ ზაქარია

**ფელტონი**

ჟალბი ასიზნაცია \*)  
(დასასრული)

ძნელი სათხრობელია  
შველა შენი წესები.....  
ძნელი დასათვლელია  
შენი მოციქულები.....

თუმცა ხარ შენ დევნილი  
დასაწვავად ცეცხლითა,  
როგორც ახალი რჯული,  
მაგ შენი ყორანითა;

მაგრამ, ჟალბო, ვერ სცნობენ  
მაგ ყორანის ფურცლებსა  
და ვერცა ჰპოულობენ  
იმ შენ მორთულ სახლებსა,

რომლებშიდაც ღხინითა

შენ რჯულზედ ლოცულობენ,  
ტკბილი სასმელებითა  
დროებას ატარებენ.

ჟალბო! ხარ მოვლენილი  
სასწავლებლად ჭკუისა;  
ბაირალი გაშლილი  
მხლანდელ დროებისა,

რომ უტბად გამდიდრება  
სოდვით და ყალობითა...  
მახდა დროთ სწეულება,  
სატირალი ცრემლითა;

რომ კაცის მოტყვილება  
მხლანდელ ცხოვრებაში  
დიდ სიბრძნეთა ითვლება  
ჩვენ კინტოკრატობაში.

ჟალბი კაცი წინ მირბის  
შენის მოწყალებითა;  
შვირან კაცად ითვლების  
მეყენის მოტყვილებითა.

სავსეა შენი ჯარი,  
ჟალბ ასიზნაციებით  
შთაფოთ მეომარი.

შენ ხარ მის წინამძღომი  
ჯარი მიგყავს მტერთანა,  
მამართული გაქვს ომი  
პატიოსნებასთანა...

სიმართლითა მშრომელი  
თუ დავიხდა შენ წინა,  
ჩაუწყდება მას წელი...  
ძლივს დაბრუნდება შინა...

ჟალბო! სულ ეს ამბები  
ხალხისაგან თქმულია;  
მისგან გავიწილები  
ჩემგან გალექსულია.

\*) „დროება“, № 38.



მჯოშვილს მეორე ძმა ხელ-ფეხ ნაკლები ჰყავდა, ან მჯოშვილის მოხუცი დედა რომ მივიდა და ცხარის ცრემლით შესტირა: ხომ ხელა, რომ ამ ერთი შვილის მეტა არა მყავს-რა და მაგასაც რომ კენჭში ურევთ, ხომ დაინოცებით შიმშილისაგან ჩვენცა და ეს ხელ-ფეხ ნაკლები ძმაცაო, — რათ გამოაგლო ეს მოხუცებული დედა მჯოშვილისა, რომ იმისი ბლავილით მთელი სოფელი და ქვეყანა იწვებოდა? მ, არაფერი. როდესაც ქრთამი აიღო იმდროს გამოუცხადა მთელ მეჯვრისხევის საზოგადოებას, რომ ნაჩაღნიკის მოწერილობა მომივიდა, რადგანაც მჯოშვილს მეორე ძმა ხელფეხ ნაკლები ჰყავს, უნდა განთავისუფლდეს და ახლათ უნდა მოვახდინო კენჭის-ყრაო. ძარგათ გამოიძიონ, ტ.—ა—ს რა მოწერილობა ჰქონდა ნაჩაღნიკისა და იქიდან გამოჩნდება სიმართლე. ამას გარდა აი ერთიც რა: რომელ სოფელშია უ. ტ.—ა—ოვი ყოფილა კენჭის აღმოსარჩევად, ყოველი სოფელი უჩივის, რომ ასე და ასე იღებდა ქრთამს მდიდარი გლეხ-კაცებისაგან და კენჭში არ შეჰყავდაო. სხვათა შორის სოფელ ძვარხეთში ილაპარაკეს მემცხვარეებმა, რომ ს. შერუეთში მოახდინა კენჭის-ყრა, ქართველებისაგან აიღო ოთხი თუხანი, ოღონდ ოსებს არგუნე კენჭიო და ესეცა ჰქმნაო.

ძრიელ სასარგებლო იქნება გლეხი-კაცებისათვის, რომ რიგიანი ყურადღება მიაქციონ და რიგიანათ წაიყვანონ ეს საქმე; უკეთუ აღმოჩნდება უ. ტ.—ა—ვი კოფოვი დაძნალებით, გარდაახდებიან რიგიანათ, რათა მოადგილემ ვეღარ გაბედოს ამისთანა ვერაგობა.

ალექსანდრე შ—მელივი

## ოქმის აგებები

### ოქმისთვის მზადება

ინგლისურს გაზეთს „Standard“-ში შენიღამ იწერებია, რომ აესტრო-მინერალის ფინანსთ მინისტრი ბარონ ჰოფმანი ამ დღეებში ლონდონში წამოვიდა აქედამაო; იმას აესტროის მმართველობისაგან მინდობილი აქცია, რომ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ და აგრეთვე ფულგების სესხის თაობაზე მოილაპარაკოს ინგლისის მმართველობასთანაო.

მეორე მხრით, ბელგიურს გაზეთს „Indép. Belge“-ში ბერლინიდან მიღებული დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც გვაცნობებს, რომ თ. ბისმარკის რჩევით პეტერბურღში გაგზავნეს ლენერალი მ. ფინტიეტელი, რომელიც აგრეთვე ახლანდელ ოქმის შესახებ საქმეებზე უნდა მოვილაპარაკოს რუსეთის იმპერატორსაო.

ამავე გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ბერმანის მინისტრებსა და თვით იმპერატორსაც არ მოეწონა ის პირობები, რომელიც რუსეთმა წარუდგინა ოსმალეთსაო, მაგრამ იმედი აქვით,

რომ მომავალ კონგრესზე რუსეთი შეამსუბუქებს ამ პირობებსაო და ზოგიერთ მოთხოვნილებას, რომელიც ერთობ სამძიმოდ დარჩება ოსმალეთისათვის და აგრეთვე შეროპისთვისაც, რუსეთი უკან წაიღებსაო.

ნემეცური გაზეთის „Presse“-ის სიტყვით, ინგლისის სტამბოლის მახლობლად გაჩერებული ჰყავს ამ ყამად სულ 11 სამხედრო ხომალდი; ყველა ამ ხომალდებზე ითვლება 4,300 კაცი და 104 ზარბაზანი. ამ ჯარის უფროსად დანიშნულია ადმირალი ნეპარი და იმის შტაბის უფროსად შელსლი.

## უცხო ქვეყნები

### იტალია

იტალიის გაზეთებში დაწერილებით არის აწერილი პაპის ლეონ მეცამეტის ამორჩევა და ამ ახლი პაპის ტახტზე ასელო. ამ აღწერილამ ვტყუბულობთ, რომ სულ 60 კარდინალამდინ დასწრებია ახალი პაპის კენჭის-საყრელად. პირველ ორ დღეს კარდინალს პეჩის 60 კენჭში მხოლოდ 35 მოსელოა; მესამე დღეს ორი კარდინალი თავიანთ მომხრეებით მისულონ ამ კარდინალთან, როცა ამოსარჩევ ოთახში შეყრილონ, და მძიმეთ თავე დაუკრავთ იმის ინშნად, რომ თქვენ გირჩევთო.

ამ სამი დღის განმავლობაში პატრიკანის (პაპის სასახლის) წინ უანგარიშო ძახილი იყო თურმე მოგროვილი და უტლიდნენ — თუ რით გათავდებოდა კენჭის-ყრა. ამოარჩიეს თუ არა ახალი პაპი, იმწამსვე ერთი კარდინალი გამოვიდა ბალკონზე და ხმა-მალლა გამოუცხადა ხალხს, რომ „პაპი გეყავსო“.

— რომის პაპებში 15 ყოფილა ფრანტუზი, 13 ბერძენი, 5 სირიელი, 6 ნემენცი, 5 ესპანელი, 2 აფრიკელი, 2 სავოიელი და 2 დაღმატელი. შეელო დანარჩენი პაპები ყოფილან სულ იტალიელნი. 1523 წლიდამ ყველა პაპები იტალიელნი ყოფილან,

### საოღონო სიტყვა რიზიანის „საწმირის დედის“ უმონველო ბაჟად\*)

შოველი ქართველი და მასთან ყოველი გულით მოსურნე ქართულის ენის შესწავლისა, ვალდებულია მიაქციოს ყურადღება „ქართულის ანბანის“ სიმშვენიერეს, მისს აუარებელს ღირსებას და მისს გამოხატულებას არ დაუკარგოს წერის დროს ის სიმშვენიერე, რომელიც შეადგენს მისს უცილობელს კუთვნილებას.

შინ არ იცის, რომ „ქართულის ანბანს“ ცალი არ მოეძიება არსად და ირეთი ანბანი, როგორც კი შეუძლიან მხოლოდ წარმოიდგინოს სხვა ტომის კაცმა.

\*) ეს შენიშვნა, ავტორის თხოვნით, „იკრიდამ“ გადმოვბეჭდეთ.

„ქართული ანბანი“ სათუთარო შეიცავს ყველა იმ ხმებს, რომელიც წარმოთქმაც კი შეუძლიან ქართველს და ყოველს შემთხვევაში ერთის ხმის გამოსახტავად აქვს ერთი და იგივე ნიშანი. ამისათვის ქართველისათვის ოლჭოგრაფია არ არსებობს. წარმოიდგინეთ ბერძნული, ფრანკიული, ლათინური, ინგლისური, ნემენცური, იტალიანური, რუსული, და სხვ. ანბანების უფარკისობა ორჭოგრაფიის შესახება: რუსმა იცის თავის ენაზედ ლაპარაკი და რასაც სწორეთ ლაპარაკობს, მას სწორეთ ვერ დასწერს: миръ (ქვეყანა, მოფლოია) და мирь (შვიდობიანობა), есть (ჭამა), етъ (არის); წარმოიდგინეთ: и, i, ѳ, иѳ, ѳ, ѳѳ, ѳ, და მათი წერის დროს სმარკეის სიძველე. „ქართულის ანბანში“ ამ გვარს რასმეს ადგილი არა აქვს; ქართველი — ნასწავლი და უფცი ერთსა და იმავე სიტყვას ერთნაირად დასწერენ. მაშასადამე ქართველს ერთი ათად ადვილად შეუძლიან ისწავლოს „წერა კითხვა“, სანამ რუსს, ან სხვა გვარ-ამს კაცს; ქართველს ამ შემთხვევაში მარტო ის შრომა მოუთა, რომ პირველი, — დახსომოს ხმა და ნიშანი ხმის გამომხატველი და მეორე, — ისწავლოს ამ ნიშნის რიგიანი გამოხატვა, ესე იგი კარგის ხელით წერა.

არა მგონია რომ „კარგის ხელით წერას“ (კალიგრაფიას) ვინმე რაცხდეს გრა ღირსად ზრუნვისა. „კარგის ხელით“ წერა ბევრს შემთხვევაში ფასდაუფებელია და სანატრელია: რამდენია, რომ „კარგის ხელით“ გადამწერს თავ-გაწერილი დაეძებს.


მათქროთ ისიც, რომ „კარგის ხელით“ წერა სისუფთავეს სიფაქიზეს მოითხოვს. რომელიც ვანვლენას იქონიოს. ის ვინც ერთში აე-კარგს არჩევს, მეორეშია ცდვილად შენიშნავს იგი ადვილად ეკედლება გამომძიებლობის გრძნობას აე-კარგის გარჩევისათვის ყოველ საქმეში.

შე გაბედვით ვიტყვი: არ შეიძლება „არგის ხელით“ მწერალი კარგი მკითხველი არ იყვეს; მაგრამ შეიძლება კი ყველა კარგი მკითხველი „კარგის ხელით“ მწერალი არ იყვეს. აქ საჭიროა ითქვას რა არის „კარგის ხელით“ წერა? ამ კითხვის პასუხი ღირსია ყურდღებისა და ისე უბრალო არ არის როგორც ბევრი წარმოიდგინეს.

„არგის ხელით“ ბევრი ჰსწერს; ერთს ერთის წერა მოსწონს, მეორეს სხვისა და სხვ. მაგრამ არ შეიძლება ერთის „ხელი“ მეორისას - რ ჰსჯობდეს.

„კარგის ხელით“ დანაწერის პიველი ღირსებაა გარჩევა — რომ ის ადვილი წასაკითხი იყო სწავლულისთვისაც და უსწავლელისთვისაც როგორც კი შეიძლება, მეორე ის, რომ ანობის გამოხატულებას სასიამოვნო იყვეს თვალისთვის; და მესამეც — რომ რაც შეიძლება ცოტა ადვილი ეჭიროს.

საქართველოში მწიგნობრბა ჰყავოდა წარსულ საუკუნეში და მანვე დაბადა „მესხიანთ მელი“ რომელსაც აქა-



მომდე ქართულ ენაზედ არა „ხელი“ არ უდრის; ამ „ხელი“ ღირსებათა: ადგილი გარჩევა ასოებისა, მათი თანა სწორობა (სიმეტრია), სიღრმე და ცოცხალი. ეს ხელი წმიდათ დასულია აქამომდე აღეკისე-მესხიანთ გვარში. მის არ წაუკითხავს დავით რექტორის (კუკიას) ნაწერები, დიმიტრი თუმანოვისა, გეორგისა და სხვ.

ახლა წარმოიდგინეთ, რა საქრობებს შეადგენს „ქარგი ხელი“ სახალხო სასწავლებელთათვის; რა საქრობებს შეადგენს იგი იმ სასწავლებელში, რომლის ოსტატმა თვით, შეიძლება, „ქარგი ხელით“ წერა არ იცის? უკელა დამეთანხმება, რომ სახალხო სასწავლებელთათვის და საზოგადოდ ქართველთათვის „ქარგის ხელით“ წერის დედანი მისწრობაა.

ამ მოკლე ხანში დავასრულებთ „საწერის დედანს“ შედგენას (დარიგებით), რომლის ჯეროვანი ყურადღება და მის მიერ ჩვენის ხალხისთვის მოსალოდნელის სარგებლობის აღიარება ყოველის ჩვენგანის წმიდა ვალია.

ნურავინ დაიშურებს ჩვენთვის ამ შრომაში დარიგებას, სიმართლის თქმას! ვისურვებთ, ვისაც შეეძლება აქვს რაიმე სარგებლობის მოტანისა ჩვენთვის ამ საქმეში—არ ემსგავსოს „განხმელსა მას ლელესა, ცეცხლად დასადებელსა“...

მსთხოვთ ყოველთ აღზრდელთა, მასწავლებელთა—ერთის სიტყვით, ვისაც კი გამოცდილება აქვს ბავშვების აღზრდაში, დაგვეხმარონ ამ წმიდა შრომაში.

სოფ. შურჯაანი. პ. კ.—ვი

**თფილისის სამკურანლო**

(4-ს აპრილის სახლორად)

მრევნის მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავთმოფებს მიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს; ექიმი მინკევიჩი—ხირურ-

გიულ ავთმოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—წინაგანი ავთმოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერშიშევი და მაკაროვი—წინაგანი ავთმოფობისათვის, მამამშევი—თვალის ექიმი.

მ თ ხ შ ა ბ თ ს: ლისიცივი—წინაგანი ავთმოფობა, შიურჩარაიცი—ვენერიული ავთმოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: შერშიშევი—წინაგანი ავთმოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი—წინაგანი ავთმოფობისათვის და ხირურგიულითვის.

შ ა ბ ა თ ს: შერშიშევი და მაკაროვი—წინაგანი ავთმოფობა, შიურჩარაიცი—ყურის და ხირურგიულ ავთმოფობისათვის და მამამშევი—თვალის ავთმოფობის.

**ახალი ტაქსა ბირჟის ივმოსჩიკებისა**

ქალაქის ჩიქვამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ ბირველ ქრისტეშობისთვიდან დაწინა შემდეგი დროებითი ტაქსა.

მრთი გზა . . . . .	40 კაპ.	25 კაპ.
საათი . . . . .	80 „	55 „
ქალაქიდან—ნავთლულს	80 „	50 „
— მუშტიადამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და ლკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდან ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
— დამოქნამდინ — 1 „	50 „	1 „ — „
— ქალაქ. ყველგან 1 „	— „	70 „
რკ. გზიდან ქალაქ.—	80 „	50 „
— ნავთლულიდან 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და უკან — — — 1 „	30 „	90 „

შ ე ნ ი შ ნ ე ა). მ რ ფუტამდინ ბოგაქისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ე ბ). ნაშუალანევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის

1 მან. და 20 კაპ., დროქის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

**ბანსხალბანი**

კავკასიაში მრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგედის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გესურს ქარიანიზის მამული ეიყილოთო, ამის გამო საქროდ ერაცხოთ საქეყნოთ გამოვაცხადათ რომ 16,000 დესიატინიდან ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

**ბაჟიდვის პირობა და შასი უჩასტკებისა ისევე ძველი რჩება.**

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწვრილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, ბანოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ ქარიანიზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან—თფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

**ბასასჟიდი უჩასტკები:**

არხი	უჩასტკა	დესიატინა
3	— — — № 5	— — — 44
4	— — — № № 6,7,8 და 9	— — — 457
5	— — — 10,11,12,13,14 და 15	— — — 547
6	— — — — 18 და 20	— — — 100
7	— — — — 27	— — — 51
9	— — — — 41	— — — 131
10	— — — — 47	— — — 50
11	— — — — 53 და 58	— — — 170
14	— — — 8186	— — — 584
15	— — — 87—დამ 95—მდინ	950
16	— — — 101,102 და 103	— — — 450
16	— — — 110—დამ 115—მდი	— — — 750
	ჭანდარის არხზედ	104—დამ 107—500
	სულ — — —	4,784 დესიატინა.

რკ. გზა.	დღილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან.	კაპ	მაჟანდა	მან.	კაპ
თფილისი . . . . .	9 21	5 18			მცხეთის სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 18 თებერ.			თფილისი, 21 თებერ.		
მცხეთა . . . . .	10 11	6 27	- 68 -	38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1 —	მრთი კანეთი ღირს:			შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.		1 80
ზორი . . . . .	11 58	9 43	2 40 1	33	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50 —	ლონდონში 23 ჰქსი.			შქვილი წითელი . . . . .		1 40
ხაშური . . . . .	1 29	11 57	3 92 2	18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2 —	პარიჟში 271 სანტიმი.			ქერი ფუთი . . . . .		1 40
სურამი . . . . .	1 44		4 42 2	46	პეტერბურგს, შარშავას . . . . .	2 —	მსკონტი(სარგებლისფასი)			ბამბა მრევნისა, ფუთი . . . . .		7 40
შვირილა . . . . .	5 49		5 81 3	23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%			— პერიკისა, ფუთი . . . . .		7 60
რიონი . . . . .	6 47		6 75 3	75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირიელის ხ.)			ბაჟენტრილი ბამბა ფუთი . . . . .		10 —
სამტრედია . . . . .	7 41		7 73 4	29	ინგლისში . . . . .	3 75	მოგებონა (მეორე ხესხი)			მატული თუშური ფთ.		8 20
ახ.-სენაკი . . . . .	— —		8 57 4	76			ბირაოლს ფურცლები:			— თარაქამისა ფთ. . . . .		4 40
ფოთი . . . . .	9 40		9 75 5	42			ფილ. საზნ. ბანკისა.			აბრეშუმი ნუბური სტ.		2 —
							ხერსონის ბანკი			ქონი, ფუთი . . . . .		6 50
შოთი . . . . .	9 13						მოსკოვის . . . . .			ქონის სანთელი ფუთი.		8 —
ახ.-სენაკი . . . . .	— —		1 18 -	66			მქრო 1/2 იმპერიალი . . . . .			სტეარინის სანთელი, ფ.		14 40
სამტრედია . . . . .	11 16		2 6 1	14			აქციები:			ხორცი ძროხისა, ლიტ.		— 90
რიონი . . . . .	12 13		3 4 1	69			მდების სავაჭრო ბანკის			— ცხერისა, ლიტრა . . . . .		— 90
შვირილა . . . . .	1 18	ლამე	3 98 2	21			შოთი-თფილ. რკინ. გზის			სპირტი, გრადუსი . . . . .		— 15
სურამი . . . . .	5 12	1 10	5 33 2	96			შავი ზღვის ცეცხ. გემების			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .		7 40
ხაშური . . . . .	5 39	1 37	5 84 3	24			ბაქავის და მერკურის . . . . .			— ფხენილი ფუთი . . . . .		6 40
ზორი . . . . .	7 5	4 8	3 6 4	9			პირგ. საზღვევ. საზრ. გ.			შავა გრვალი, გირვ.		— 70
მცხეთა . . . . .	8 50	6 59	9 8 5	4			პეტერბ. საზღვევ. საზრ.			ზეთი ქუნჯულისა ფუთ.		13 50
თფილისი . . . . .	9 31	7 56	9 75 5	42			მოსკოვის საზღვევ. საზრ.			თამბაქო, საშუალო ფუთი		7 80